გლობალური კლიმატური დათბობით გამოწვეული გეოდინამიკური პროცესების ინტენსივობა აჭარის ტერიტორიაზე და მისი გადაჭრის პრევენციები

ანოტაცია

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გლობალურ გამოწვევას, რომელიც გავლენას ახდენს ეკოსისტემებზე, ეკონომიკებსა და საზოგადოებებზე მთელს მსოფლიოში. სანაპირო რეგიონები განსაკუთრებით დაუცველია მისი ზემოქმედების მიმართ, რადგან ზღვის დონის აწევა, ექსტრემალური ამინდის მოვლენები და გაზრდილი ეროზია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დასახლებებს, ინფრასტრუქტურას და ბუნებრივ გარემოს. აჭარის სანაპირო რეგიონი, რომელიც მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, განიცდის კლიმატის ცვლილების მძიმე შედეგებს. განმეორებითი წყალდიდობა, სანაპირო ეროზია და ექსტრემალური ამინდის სქემები გაძლიერდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რამაც განაპირობა გარემოს მნიშვნელოვანი დეგრადაცია და ეკონომიკური ზარალი.

ბუნებრივ პროცესებს შორის, რომელიც გავლენას ახდენს აჭარის ლანდშაფტების ცვლილებებზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გლობალურ დათბობას, კერძოდ, საშუალო წლიური ტემპერატურის თანდათანობით ამაღლების პროცესს, ნალექების წლიური რაოდენობის ცვლილებას. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გააქტიურდა გეოდინამიკური პროცესები, რაც ხშირად კატასტროფებით მთავრდება არა მარტო მაღალმთიან აჭარაში, არამედ ზღვისპირა მხარეშიც .

აჭარის ტერიტორიისათვის გლობალური დათბობის ზეგავლენა შესამჩნევია, როგორც სანაპირო, ისე მაღალმთიან რაიონებში, სადაც ნალექების ზრდის გამო, გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების შედეგად აღინიშნება მეწყერებისა და ღვარცოფების გააქტიურება.

მე-20 საუკუნის ბოლოსა და ახალი ასწლეულის დასაწყისისთვის აღნიშნული პროცესების ინტენსიური ზემოქმედების შედეგად, ასევე ანთროპოგენური დატვირთვით მოხდა აჭარის ლანდშაფტების არსებითი ცვლილება. არსებული კარტოგრაფიული მასალების, რუკების და ლიტერატურული მასალების საფუძველზე შეგვიძლია 10 ბალიანი სისტემით დავადგინოთ აჭარის ლანდშაფტების ცალკეული კომპონენტების ცვლილების დონე, დაწყებული გასული საუკუნის 30-40-იანი წწ. დღემდე (ცხრილი).

ცხრილი

აჭარის ლანდშაფტების ცალკეული კომპონენტების ცვლილება ბალებში

ლანდშაფტის ტიპი	რელიეფი	ნიადაგი	წყლები	Мმიკროკლიმატი	Мმცენარეული ლობა	ცხოველთა სამყარო
Dვაკე	9-10	9-10	9-10	9-10	9-10	9-10
დაბალმთიანი ტყიანი	-	7-9	7-9	7-9	7-9	7-9
საშუალი მთიანი ტყიანი	-	4-7	-	-	4-7	4-7

მაღალმთიანი და ალპური მდელოებით	-	2-4	-	-	2-4	2-4

ჩხრილიდან ჩანს, რომ თითქმის მთლიანადაა შეცვლილი აჭარის ვაკის ლანდშაფტები, რომელიც ოპტიმალური ნიადაგ-კლიმატური პრობებით გამოირჩევა, ძლიერი ანთროპოგენური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, რის გამოც არსებითადაა შეცვლილი არსებული ყველა ბუნებრივი კომპონენტი. თითქმის მთლიანდ გაიჩეხა კოლხური ტყე და მისი ნარჩენები შემონახულია მხოლოდ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.